



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველოს თვით მართვის პროგრამა

2025

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	10
ფულადი ბაზარი	13
მონეტარული აგრეგატები	14

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ


ინფლაცია

აგვისტოში წლიურმა ინფლაციამ 4.6% შეადგინა, ხოლო ივლისთან შედარებით ფასებმა 0.3%-ით მოიმატა. წლიურ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით დიდწილად სურსათის ფასები მოქმედებს. კერძოდ, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ინფლაცია აგვისტოში 10.0% იყო, ხოლო წლიური ინფლაციის 4.6%-დან ამ ჯგუფზე 3.4 პროცენტული პუნქტი (პპ) მოდიოდა.


გასულ წელს სურსათი ძირითადად დეფლაციური იყო და აქედან გამომდინარე, სურსათის გაძვირება ნაწილობრივ საბაზო ეფექტს უკავშირდება. საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო ნედლეულის ფასები წინა წელთან შედარებით მომადებულია¹, რაც ადგილობრივ ბაზრასაც გადმოეცემა. სურსათის ფასების ზრდას პურის ფასის ერთჯერადი გაძვირებაც განაპირობებს². ბოლოდროინდელი გაძვირების მიუხედავად, ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით საწვავის ფასების წლიური გაიფხვრა მოქმედებს, რაც საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების ცენდენციის ასახვაა. ამავდროულად, აგვისტოში ინცერნეტის გადასახდელის დეფლაციური ეფექტი სრულად ამოიწურა და დამატებით გაძვირდა, რამაც წლიური ინფლაცია კიდევ უფრო გაზარდა.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალაღი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, მიმდინარე წელს სტაბილურია. აგვისტოში საბაზო ინფლაციამ 2.8% შეადგინა. საბაზო ინფლაციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შედარებით გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის შესაფასებლად.

თვის ინფლაცია 0.3% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 4.6% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

აგვისტოში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ყველაზე გამოსარჩევი კარცოფილის 19.9%-ით გაიფხვრა, რის გამოც თვის ინფლაცია 0.3 პპ-ით შემცირდა. კარცოფილი წინა თვეებში მნიშვნელოვნად გაძვირებული იყო და ამ გაიფხვებით განვლილი პერიოდის ტრენდს ძირითადად დაუბრუნდა. აღსანიშნავია იმერული ყველის და ბენზინის გაძვირება, რამაც თვის ინფლაცია 0.25 პპ-ით გაზარდა.

წლიურ ჭრილში, როგორც აღინიშნა, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის გაძვირება მოქმედებდა. სურსათი გასულ წლის აგვისტოსთან შედარებით 10.0%-ით გაძვირდა. საკუთრივ სურსათის წვლილი ინფლაციაში 3.1 პპ-ის შეადგენდა, ხოლო აქედან პურის, ყველის, ზეთის, შოკოლადის და კარცოფილის გაძვირებაზე ჯამში 1.8 პპ მოდიოდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის 9.3%-იანი ინფლაცია, რამაც მთლიან ინფლაციაში 0.7 პპ -იანი წვლილი შეიტანა.


ინფლაციის შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად, 0.3 პპ-ით, საწვავის გაიფხვრა მოქმედებდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 6.6% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის ზრდას დიდწილად პურისა და ყველის ფასების ზრდა განაპირობებს. მომსახურების ინფლაციამ, რომელიც ადგილობრივის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, აგვისტოში 4.2%-მდე მოიმატა (ივლისში 3.0% იყო), რისი ძირითადი მიზეზიც ინცერნეტის გადასახადის დეფლაციური ეფექტის სრულად ამოწურვაა.

¹ საერთაშორისო სურსათის ფასების მონაცემები <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>

² 2025 წლის მარტში პურის ფასის ერთჯერადი გაძვირება 2026 წლის მარტამდე საბაზო ეფექტით ასახება ინფლაციაზე.

შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია 6.3% იყო. აქ ყველაზე დიდი წვლილი ზეთს, კარცოფილს და შოკოლადს აქვს. იმპორტირებული ინფლაცია, ყველაზე მეტად საწვავის ფასების გავლენით, კვლავ დეფლაციურია და -0.8%-ს შეადგენს.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2025 წლის წონები	აგვ25/ივლ25		აგვ25/აგვ24	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.3%	0.3%	4.6%	4.6%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	34.5%	0.1%	0.0%	10.0%	3.4%
სურსათი	31.7%	0.1%	0.0%	10.0%	3.1%
პური და პურპროდუქტები	6.9%	0.7%	0.1%	9.4%	0.7%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.0%	0.0%	3.2%	0.2%
თევზი	0.5%	1.7%	0.0%	10.8%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	3.1%	0.2%	11.8%	0.7%
ზეთი და ცხიმი	2.9%	-0.6%	0.0%	14.8%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.7%	4.3%	0.1%	15.3%	0.3%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარცოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	-10.6%	-0.3%	10.8%	0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	0.2%	0.0%	10.2%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.5%	0.0%	4.5%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	0.2%	0.0%	9.9%	0.3%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.7%	0.0%	4.7%	0.3%
ცანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.7%	-2.0%	-0.1%	-2.9%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.8%	0.3%	0.0%	0.8%	0.1%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	-0.4%	0.0%	-1.4%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.1%	0.1%	0.0%	9.3%	0.7%
ტრანსპორტი	10.9%	1.3%	0.1%	-2.4%	-0.3%
კავშირგაბმულობა	3.2%	1.5%	0.0%	0.2%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8%	0.5%	0.0%	-0.2%	0.0%
განათლება	5.4%	0.0%	0.0%	4.6%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.6%	0.0%	6.8%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.7%	0.5%	0.0%	5.5%	0.3%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	60.8%	0.4%	0.3%	6.4%	3.9%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	8.1%	-1.6%	-0.1%	-3.2%	-0.3%
ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი	5.2%	-0.4%	0.0%	-1.2%	-0.1%
მომსახურება	25.9%	0.6%	0.2%	4.2%	1.1%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


ივლისში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები 6.3 მლრდ ლარით, 11.3%-ით, გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით კი 10.9%-ით გაიზარდა) და 62.0 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრილში კი 1.2 მლრდ ლარით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.6 მლრდ ლარით (2.0%-ით) გაიზარდა და 31.2 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად იურიდიული პირების დეპოზიტების მატებამ (482.1 მლნ ლარით) განაპირობა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 0.6 მლრდ ლარის ზრდა დაფიქსირდა.

სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივლისში, დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 5.9%-ს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 7.7% შეადგინა. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 2.0%-მდე, გაიზარდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 10.9% შეადგინა. დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.1 პპ-ით, 2.7%-მდე გაიზარდა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი უცვლელია და 1.4%-ის ნიშნულზე.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაციამ ივლისში 49.7% შეადგინა. ივლისის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით, 64.5%-მდე გაიზარდა, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაცია არ შეცვლილა და 39.0%-ს შეადგენს. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, ივლისში, წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით, 60.8%-მდე, შემცირდა.

**დამოზიდვის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დამოზიდვის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივლისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.6 პპ-ით შემცირდა და 14.9% შეადგინა. აღნიშნული, მეტწილად, უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის კლებამ განაპირობა. კერძოდ, უცხოური ვალუტით დაკრედიტება წინა თვესთან შედარებით, 1.2 პპ-ით, 9.1%-მდე შემცირდა. ხოლო ეროვნული ვალუტით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი წინა თვის შესაბამის მარცვნიერებულთან შედარებით 0.4 პპ-ით შემცირდა და 19.6% შეადგინა. ხოლო, მთლიანი სესხების ზრდაში 10.9 პპ-იანი წვლილი შეიძინა. აღსანიშნავია, რომ მიზნობრიობის კრიტერიუმის სესხების კონტრიბუცია 0.8 პპ-ით შემცირებულია წინა თვესთან შედარებით და 7.4 პპ-ს შეადგენს.

**სასხების წლიური ზრდის ტემპი
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**სასხები მიზნობრიობის მიხედვით
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, არ შეცვლილა და 13.5% შეადგინა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით გაიზარდა და 9.8%-ს გაუცოლდა, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 15.7%-მდე, შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სასხებზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხებზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.6 პპ-ით შემცირდა და 13.1%-ზე შეადგინა. ხოლო, იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 13.1%-ზე შენარჩუნდა. საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.7 პპ-ით, 10.3%-მდე, გაიზარდა. ხოლო, 8.0%-ის ნიშნულს ინარჩუნებს, იურიდიული პირების უცხოური ვალუდით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი.


ივლისში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.4 პპ-ით შემცირდა და 42.4%-ის ნიშნულზეა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა და 63.7%-ზე შენარჩუნდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.5 პპ-ით შემცირდა და 23.4%-ი შეადგინა. ივლისში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 47.8 მლნ ლარით გაიზარდა და 598.0 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 41.8% ეროვნული ვალუდით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარეო სექტორი


ივლისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 3.4%-ით გაუმჯობესდა და 854.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 6.6%-ით შემცირდა 1.5 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო ექსპორტი 10.8%-ით შემცირდა და 610.4 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის კონტრიბუცია წინა თვეებთან შედარებით შემცირებულია და 0.4 პპ-ს შეადგენს. იანვარ-ივლისში, ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით³, საგარეო დეფიციტი წლიურად 3.0%-ით გაიზარდა. კერძოდ, საქონლის იმპორტი წლიურად 5.2%-ით გაიზარდა, ადგილობრივი მოხმარების იმპორტი კი - 2.8%-ით. რაც შეეხება ექსპორტს, მთლიანი ექსპორტის ზრდამ 9.0% შეადგინა, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 2.7%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (ივლისი 2025)



წყარო: საქსტატი


იმპორტი - ივლისში საქონლის იმპორტი წლიურ ჭრილში 6.6%-ით შემცირდა. შემცირების მიმართულებით ძირითადად სამომხმარებლო საქონლის იმპორტი მოქმედებდა, -6.8 პპ კონტრიბუციით. საინვესტიციო საქონლის წვლილი -2.0 პპ იყო, ხოლო შუალედური მოხმარების საქონლის დადებითმა კონტრიბუციამ 2.2 პპ შეადგინა.

სამომხმარებლო საქონლის იმპორტის კლებაში წამყვანი წვლილი მსუბუქ ავტომობილებს ჰქონდა (-7.5 პპ). საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემცირებაში კი კომპიუტერულ ტექნიკას (-2.2 პპ).


შუალედური მოხმარების საქონლის ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია სამედიცინო დანიშნულების საქონელს ჰქონდა. ასევე გაზრდილია სამშენებლო საქონლის იმპორტი.

³ იანვარში შემოდანილი ხელოვნების ნიმუშების გამორიცხვით

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



ქვეყნების ჯგუფის წილში, ივლისში იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნების წვლილმა -1.2 პპ შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წილში კი, კლებას ძირითადად მსუბუქი ავტომობილების იმპორტის შემცირება განაპირობებდა, რომელიც ძირითადად გერმანიიდან ხორციელდება. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში 28.0%-დან 17.1%-მდე შემცირდა. საპირისპიროდ, გაიზარდა სამედიცინო დანიშნულების საქონლის იმპორტი.

ქვეყნებს შორის იმპორტი მეტწილად მცირდებოდა იაპონიიდან და გერმანიიდან (მსუბუქი ავტომობილები), ხოლო ზრდის მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი თურქეთსა და ჩინეთს ჰქონდათ.

თურქეთიდან იმპორტზე დანახარჯები ყველაზე მეტად გაიზარდა არმატურისა და ნავთობპროდუქტების ხარჯზე. ასევე გაზრდილია სამკურნალო საშუალებების იმპორტი. ხოლო, რიგი საინვესტიციო დანიშნულების საქონლის იმპორტი კლების მიმართულებით მოქმედებდა.


ჩინეთიდან გაზრდილია ჰაერის კონდიციონერების და მსუბუქი ავტომობილების იმპორტზე დანახარჯები, ასევე გაზრდილია სამრეწველო პროდუქტების იმპორტი.

აშშ-დან იმპორტის კლება ძირითადად მსუბუქ ავტომობილებს უკავშირდება.


აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 79.0% მოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წილში, ივლისში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდათ.

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (ივლისი 2025)



საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)





ექსპორტი - ივლისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 10.8%-ით შემცირდა და 610.4 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ექსპორტის შემცირება განპირობებული იყო შუალედური მოხმარების საქონლისა (-8.6 პპ კონტრიბუციით) და საინვესტიციო საქონლის ექსპორტის შემცირებით (-2.3 პპ კონტრიბუციით).

შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან ყველაზე დიდი ნეგატიური წვლილი ფეროშენადნობების ექსპორტის შემცირებამ განაპირობა. საპირისპიროდ გაზრდილია ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტი.

სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ხილის და ღვინის ექსპორტი. საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რეექსპორტის კლებას უკავშირდება.

საქონლის შესაქონლო სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ივლისი 2025, წილი შესაქონლოში)

ქვეყნების წილი საქონლის შესაქონლოში (ივლისი 2025)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნების შრილში, საქსპორტო შემოსავლები შემცირებული იყო აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, მეტწილად, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის შემცირების შედეგად. ხოლო, გაზრდილია ტაჯიკეთიდან და უზბეკეთიდან, ასევე მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ზრდის შედეგად.

რუსეთში, გასული თვეების კლების შემდეგ, გაზრდილია ღვინის ექსპორტი. ასევე, ზრდის მიმართულებით პოზიციური წვლილი შეიძენა ხილის ექსპორტმა.

თურქეთიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლების შემცირება ძირითადად ფეროშენადნობებისა და ელექტროენერგიის გაყიდვების კლებას უკავშირდება.

ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლების პოზიციურმა წვლილმა 3.2 პპ შეადგინა.

რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით ექსპორტის დივერსიფიკაციას, წინა წელთან შედარებით, იგი უმნიშვნელოდ იყო შემცირებული.

ივლისში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (42.9%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ძირითადი საქსპორტო პროდუქტებიდან, ავტომობილების გარდა, გაიზარდა ძვირფასი ლითონების მაღნების, ხილისა და ღვინის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.



წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - ივლისში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 13.0%-ით, 337.0 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 11.4%-ით, 37.3 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (7.1 პპ) შეიძენა წლიური 16.4%-იანი ზრდით. 21.1%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 3.6 პპ). რუსეთის კონტრიბუცია კი ივლისში -0.1 პპ-ს გაუცოლდა.

ივლისში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.3%), აშშ (18.1%) და რუსეთი (13.4%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (16.5%), გერმანიისა (8.7%) და საბერძნეთის (7.7%) მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (ივლისი 2025)

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


ივლისში წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7288-დან 2.7141-მდე (0.5%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ - 3.1393-დან 3.1756-მდე (1.2%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7067 და 3.1230 შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7227 იყო, მინიმალური კი - 2.7067.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა თანაბრად იყო გადახრილი.


ივლისში, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია თურქული ლირის გაუფასურება როგორც თვის, ისე წლის ქრილში; შესამჩნევად გამყარდა ევრო, ასევე გამყარებით ხასიათდებოდა რუსული რუბლი, სომხური დრამი და ლარი; აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (ივლისი 2025; ზრდა=მაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურად 3.7%-ით, თვის ქრილში კი 0.3%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), წლიურად 0.8%-ით გამყარდა, თვის ქრილში კი 0.4%-ით. აღსანიშნავია, რომ ლარის დინამიკა სავაჭრო პარტნიორთა ვალუტების მიმართ განსხვავებულად აისახება ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსზე, კერძოდ: ევროსთან მიმართებით ლარის გაუფასურება NEER-ს აუფასურებს, მაშინ როდესაც ყველა სხვა ძირითადი სავაჭრო პარტნიორის ვალუტებთან მიმართებით ლარის პოზიცია NEER-ს ამყარებს.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.

სავაჭრო პარტნიორთაგან ივლისში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვარი 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპატრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (ივლისი 2025)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ივლისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 6⁴ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვითრად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპატრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილები მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაზრდილია როგორც წლის, ასევე თვის ჩრილში. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 511.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 0.7 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, წინა წლის ივლისთან შედარებით კი - 331.6 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 7.6%-ით, წლიურად კი 38.9%-ით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ⁵ გარიგებებით ხდებოდა (99.0%) და მთლიანმა ვაჭრობამ 4,526.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 1,160.4 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის ჩრილში 1,016.3 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 9.2% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 416.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


⁴ რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
⁵ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოტ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ივლისში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 738.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში 652.6 მლნ აშშ დოლარით) და 2,433.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 421.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 363.7 მლნ აშშ დოლარით) და 2,093.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებზე მოდიოდა.


ივლისში სავალუტო ფორვარდ⁶ გარიგებებით (უცხოური ვალუდით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუდით ვაჭრობა წლიურად 37.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვიურ წრილში - 88.5 მლნ აშშ დოლარით) და 47.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე, ხოლო მცირე შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 28.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორის საოტ გარიგებებით შიდა წილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 331.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 5.0 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.


⁶ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მენეჯმენტისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ივლისში სადებოზიფო სერტიფიკატების ორი აუქციონი ჩატარდა და 20-20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიფო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის სადებოზიფო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატების ნაშთი გაიზარდა და 80 მლნ ლარი შეადგინა.


ივლისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 230.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ივლისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 60 და 80 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 163.8 მლნ ლარით გაიზარდა და 10,575.8 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 73.4%-ს კომერციული ბანკების, 12.0%-ს ეროვნული ბანკის, 13.5%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.1%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიფო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში სადებოზიფო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. ასევე, შემცირდა სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები, ხოლო სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. კერძოდ, ივლისში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 7.3%-მდე, შემცირდა. ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა 0.1 და 0.2 პპ-ით, შესაბამისად 7.3% და 7.1% შეადგინა. სამწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.1, 0.4 და 0.1 პპ-ით გაიზარდა, შესაბამისად 9.1%, 9.6% და 9.8% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვითრად 255.1 მლნ ლარით (წლიურად 281.8 მლნ ლარით) 21,195.7 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად ეროვნული ვალუტის რესურსის ზრდით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (83.7%), რომლის მოცულობაც თვის წრილში 926.4 მლნ ლარით (5.0%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვის წრილში 671.3 მლნ ლარით (24.2%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში არ შეცვლილა და 7.9% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 2.1%-მდე, შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ივლისში ფულადი ბაზრის რესურსის 27.8% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 71.6% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აბრეგადები

ივლისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 713.9 მლნ ლარით (9.6%-ით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 8.1 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა, საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან შედარებით, 470.4 მლნ ლარით (3.5%-ით) გაიზარდა.

ივლისში, სავალუტო აუქციონებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 416.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 27.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 389.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


ივლისში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 51.4 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 887.7 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 181.1 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხი, წინა თვესთან შედარებით, 365.0 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 25.0 მლნ ლარით გაიზარდა. ივლისში, განთავსდა 40.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და იმავე პერიოდში დაიფარა 20.0 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატი. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, ივლისში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 359.7 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 5,930.8 მლნ ლარს გაუცოლდა.


ივლისში, ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 1.1 მლრდ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 0.8 მლრდ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

